დასკვნა:**დ03. 3724234001**
თარიღი:**21/08/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 21 აგვისტოს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში მერიის მიერ წარმოდგენილი შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი.

კომისია აღნიშნავს:

_წარმოდგენილი პროექტით, მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები იზრდება 4 350 811 ლარით. ეს ნიშნავს, რომ კორექტირებული ბიუჯეტით დაგეგმილი 73 758,0 ათასი ლარის ნაცვლად, ბიუჯეტი განისაზღვრა 78 108,8 ათასი ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების ზრდის მაჩვენებელი სრულ თანხვედრაშია ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილ მოცულობებთან;

_ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან ბიუჯეტი იზრდება ჯამში 555,0 ათასი ლარით, რომლითაც იზრდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრმა“ 450,0 ათ ლარით, სატრანსპორტო კომპანიას გაეზრდება დაფინანსება 100,0 ათ. ლარით და მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლას გაეზრდება სუფსიდია 5,0 ათ ლარით;

_სახელმწიფო ფონდებიდან დამატებით გამოყოფილი თანხების ჯამი შეადგენს 3 795,8 ათას ლარს, რომლითაც იზრდება ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება და „სოფლის მხარდაჭირის პროგრამის“ დაფინანსება.

_წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული ცვლილებების შედეგად ბიუჯეტის მთავარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ დაფინანსება გახდება 43 218,4 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 55,3%-ია;

_ წარმოდგენილი ცვლილებების პროექტს თან ახლავს ინფორმაციული მასალა, სადაც კონკრეტულადაა წარმოდგენილი პროგრამებთან და კაპიტალურ ხარჯებთან დაკავშირებული დეტალები. ასევე წარმოდგენილია ცვლილების პროექტის განმარტებითი ბარათი. ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი

ცვლილებებისა და დამატებების პროექტის გატანა საკრებულოს სხდომაზე, მისი განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი